საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ფედერალისტების ორგანო კვირა, 7 სექტემბერი 1919 წ. ქართველებისა ყველა ქვეყანაში, შეერთდით! № 202

# ბრძოლა

ფასი 1 მან.

გაზეთი დიხს: 1 თვით 20 მანეთი, ცალი ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადებისა 10 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 21.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ფედერალისტების ცენტრალური კომიტეტისა.

გაუბედურებული მეუღლე ექიმი იასონ ისიდორეს ძე ჟორდანია, დაობლებული შვილი პაწაწინა იასონ, გულდათუთქული დედა ფუცუ, ძმა ვლადიმერი, დები: ნინა და ტატიანა, მამამთილი მოშორიგებელ მოსამართლე ისიდორე ჟორდანია და დედამთილი კლეონიკა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს რომ 16 სექტემბერს დანიშნულია მარტვილის საკათედრო მონასტერში ერთი წლის წირვა და პანაშვიდი მათთვინ ძვირფასი და დაუვიწყარის

**პატიშასი** სულის მოსახსენებლათ.

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ლუარსაბ ივანეს ძე, შვილი ვანიჩქა, დედა ელპიტი სამსონაძენი, დედ-მამა: ყირიმია და ბუბუნია, დაი ტასო კაჭარავები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ უდროოდ დაკარგულის მათი ძვირფასი

**მაშო (მარია) ყირიმის ასული სამსონაძის**

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების თავზე სამშაბათს 9 ენკენისთვეს (ახ. სტ.) დღის 12 საათზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქ. ლანჩხუთში ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში.

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ექვთიმე გიორგის ძე. დედა მელანია მათეს ასული, ძმები: გიორგი და ამბაკო თავიანთი ცოლშვილით, დები მატრონა და ლუბა თავის ქმრებით და ფედოსია ჯვარშეიშვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 7 ენკენისთვეს, სოფ. იანეთში საკუთარ სახლში დანიშნულია ნიშნით ტირილი და პანაშვიდი გერმანიაში და ავსტრიაში ტყვეობის დროს გარდაცვლილ ორ ძმათა

**სევერიანე და ლეონტი ჯვარშეიშვილებისა**

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი ვასასი დავითის ასული და ვლადიმერ ილიას ძე, თინა, ნატაშა და კოლა ტატიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, პირველთა ერთად ერთი უსაყვარლესი ასულის, მეორის შვილის შვილის და მესამის **ირას** ძმისწულის პატარა უდროოდ გარდაცვალებას ქალ. სოხუმში. ცხედარს მოასვენებენ 6 ენკენისთვეს შაბათს საღამოს „ზესტაფონში, ხოლო აქედან წასვენება და დაკრძალვა კვირას, 7 ენკენისთვეს დილით ს. საქარის მაცხოვრის ეკლესიაზე.

ბაბუა მღ. დავით გიორგის ძე, ბებია მარიამ და ცუცუნა შვილებითურთ, ბიძები: ვანო და ლადიკო თავიანთი ცოლშვილით, პავლე და გრიგოლ საყვარელიძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი პატარა

**ირა ტატიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას სოხუმში. ცხედარს მოასვენებენ ზესტაფონში შაბათს 6 ენკენისთვეს, საღამოთი. აქედან წასვენება, წირვა-პანაშვიდი და დაკრძალვა კვირას, 7 ენკენისთვეს სოფ. საქარის მაცხოვრის ეკლესიაზე.

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები ნადეჟდა და ქეთო, მაზლები ილარიონ და ერმილე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, კვირას, 7 სექტემბერს, დღის 12 ს. დანიშნულია წმ. ნინოს (კუკიის სასაფლაოზე) ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**მარიამ მიხეილის ასული რუსიაშვილის**

სულის მოსახსენებლათ.

მეუღლე ლისა ლევანის ასული, შვილები ევტიხი და მარო, რძალი ნადია ვარ დეინს ასული ჩხატარაიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

**ნიკო კვალის ძე ჩხატარაიშვილის**

გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას, 7 სექტემბერს ს. შემოქმედში.

## ლიუცერნის სოციალისტური კონფერენცია

ჩვენი გაზეთის გუშინდელ და დღევანდელ ნომრებში ჩვენ ვამთავსებთ უკანასკნელ სოციალისტურ კონფერენციის ანგარიშებს, რომელიც გასულ აგვისტოს დასაწყისში შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში მოხდა. ამ კონფერენციას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მის წინაშე განსახილველად დაყენებული იყო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური საკითხები თანამედროვე მომენტისა. ამ საკითხების განხილვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სოციალისტურ პარტიის ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეებმა.

ცენტრალურ საკითხად, რომელსაც ყველაზე მეტი დრო და ყურადღება დასჭირდა, კონფერენციამ მიიჩნია საკითხი სოციალისტურ რევოლიუციისა. ყველა მიმართულების ორატორები ერთ რამეში შეთანხმებულნი იყვნენ: კაცობრიობა მიმდგარია სოციალიზმის კარს; ძველმა, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულმა საზოგადოებამ დრო მოიჭამა, თავისი სიკეთე აშკარად გამოაჩინა და კაცობრიობა ჩაგდო იმისთანა ჯურღმულში, რომელშიაც ლამის არის სული შეეხუთოს. კაცობრიობას იხსნის მხოლოდ სოციალისტური რევოლიუცია, რომელმაც ახალ საძირკველზე უნდა ააშენოს საზოგადოება. მაგრამ სხვა და სხვა ორატორები სხვა და სხვა ნაირად უყურებენ სოციალისტურ რევოლიუციის განხორციელების **ტემპს, სიჩქარეს**. „დამოუკიდებლების აზრით, დღესვე უნდა გამოცხადდეს დიქტატურა იმ კლასისა, რომელიც უმთავრესადდაინტერესებულია სოციალიზმის განხორციელებაში; დღესვე პროლეტარიატმა უნდა ხელთ იგდოს მთელი ხელმწიფება, ამისათვის უნდა უარყოფილ იქნეს ბურჟუაზიის მიერ წარმოშობილი სახელმწიფოებრივი ფორმები —მთელი მისი პარლამენტარიზმით, საყოველთაო არჩევნებით და სხვა თუნდაც დემოკრატიულ დაწესებულებებით. პოლიტიკაში „მხოლოდ საპარლამენტო მეთოდის ხმარება ვერ მიახწევს მიზანს, რომელიც მუშებს აქვთ დასახული“—ამბობს ჰოლანდიელი სოციალისტი ტრელსტრა. რეფორმიზმმა დრო მოიჭამა და დროა უფრო პირდაპირ და აშკარა მეთოდებს დავადგეთ. „საქმე ეხება სოციალიზმის ინტეგრალურ (მთლიანს) განხორციელებას,—ამბობს ჰილფერდინგი, და ამის თანახმად უნდა დავტოვოთ კოოპერაციის და პროფესიონალურ კავშირების გზა“.

პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად ახალი პოლიტიკური ფორმებია საჭირო და ეს ფორმები უკვე გამონახულია: ეს ფორმები მუშათა დეპუტატების საბჭოს მთავრობის შემოღებაა, დამოუკიდებელ სოციალისტთა აზრით: „ჩვენ უნდა დავადგეთ მუშათა საბჭოების გზას“, აღიარებს იგივე ჰილფერდინგი.

სხვა შეხედულებისა არიან მეორე მიმდინარეობის ორატორები. მათი აზრით სოციალიზმის უმტკივნეულოდ და უფრო მალე განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ **დემოკრატიზმის** გზით. მთავარი დებულება, რომელიც ამ რიგის ორატორებს აუცილებელ პირობად მიაჩნიათ სოციალისტურ პარტიები სათვის, მდგომარეობს იმაში, რომ სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ხალხის **უმრავლესობა** მიემხრობა; უმცირესობის დიქტატურა დაუშვებელია, მიზანს ვერ მიაღწევს, ნგრევის მეტს არაფერს მოგვიტანს, სოციალისტურ რევოლიუციის დამარცხებას გამოიწვევს და უფრო დააგვიანებს სოციალიზმის დამყარებას. „მეორე ინტერნაციონალი მიდის დემოკრატიული გზით და ცდილობს განახორციელოს უმრავლესობის რევოლიუცია“, ამბობს ვანდერველდე.

ორივე მიმართულების ორატორები რუსეთის ბალშევიზმის მაგალითებით ასაბუთებენ თავიანთ აზრებს. მაგრამ არც ერთი ორატორი არ მოუწოდებს კონფერენციას რუსეთის ბალშევიზმთან შეერთებისაკენ. „მე არ მინდა ვთქვა, რომ უცვლელად უნდა გადმოვიღოთ ბალშევიკური მეთოდები“, ამბობს ჰილფერდინგი განსხვავება იმაშია, რომ „დამოუკიდებლები“ საერთოდ საჭიროდ სთვლიან ხელი გაუწოდონ ბალშევიზმს და შეაერთონ „მეორე“ და „მესამე“ ინტერნაციონალი, მათ მოწინააღმდეგეებს კი ბალშევიზმთან შერიგება დაუშვებელად მიაჩნიათ. „ჩვენ რომ ვხედავდეთ, რომ ბალშევიკურ დიქტატურას მთელი პროლეტარიატი მიჰყავს სოციალიზმის განხორციელებისაკენ, მაშინ, მიუხედავად ტერორისა, ჩვენ ვაღიარებდით, რომ ბალშევიზმი ჩვენს წინაშე მართალი აღმოჩნდა. მაგრამ ის წარმოადგენს უმცირესობის დიქტატურას და ქვეყანა მიჰყავს დანგრევისა და გახრწნისაკენ“, ამბობს ირაკლი წერეთელი. „საჭიროა, დაასკვნის იგი, რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს, თავიდან ავიშოროთ ბალშევიკური ექსპერიმენტების განმეორება“. რეზოლიუცია, რომელიც მთავარ საკითხის შესახებ გამოიტანა კონფერენციამ და რომელიც ერთის მხრით წერეთლის, მეორეს მხრით ჰილფერდინგის შეთანხმების ნაყოფია, გვიჩვენებს, რომ ორი მიმართულება, რომელიც ერთმანეთს შეეტაკა კონფერენციაზე, ვერ მორიგდა მთავარ საკითხში და კონფერენციამ ინტერნაციონალის დანაწილების თავიდან ასაცილებლათ აირჩია არ გამოსთქვას არც თანაგრძნობა ბალშევიზმისადმი არც მისი გმობა. კამათის მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ბევრი რამ, რაც ითქვა კონფერენციაზე რუსეთის ბალშევიზმის შესახებ, ევროპიელ ამხანაგების საქმესთან გაუცნობლობის ნაყოფია. რუსეთის ბალშევიზმს შორიდან უყურებენ და მასზე განყენებული წარმოდგენა აქვთ. იგრძნო ეს კონფერენციამ და სწორედ ამიტომ გადასწყვიტა აირჩიოს სპეციალური კომისია, რომელიც რუსეთში წავა, ადგილობრივ გაეცნობა საქმის ვითარებას და სწორე აზრს შეადგენს ბალშევიზმის შესახებ.

## პროვინციის დაცლა

ამ ბოლო ხანებში თფილისს აუარებელი ხალხი აწყდება სხვადასხვა კუთხეებიდგან. პროვინცია თითქმის დაიცალა კულტურული ძალებიდან და სოფლები და დაბები ღვთის ანაბარათ რჩება. სხვა პირობებში ამა რა გვექნებოდა ამის წინააღმდეგ, მაგრამ დღეს ეს მეტათ მავნებელ ტენდენციათ უნდა ჩაითვალოს. რესპუბლიკა დღეს იდგამს ფეხს, მას აუარებელი საქმეები აქვს საკეთებელი. ათასნაირათ დახლართული კითხვების გარკვევა პირველ ყოვლისა ითხოვს ინტელიგენტურ ძალებს. სოფელს ისედაც უჭირს ამ კითხვათა ლაბირინტში გზის მონახვა და თუ ის თავის ამარათ იქნება მიტოვებული, ჩვენ არ ვიქნებით დაზღვეული იმ არა სასიამოვნო ამბებისაგან, რომელიც ასეთ შემთხვევაში ახსოვს ისტორიას. საფრანგეთის რევოლიუციის ხანაში პარიზმა ღრუბელივით ამოსწურა პროვინციებიდგან ყველა საკეთესო ძალები და მით ხელი შეუწყო ვანდეას გაძლიერებას, რასაც შედეგათ მოჰყვა რევოლიუციის დამარცხება.

მართალია, ჩვენი გლეხკაცობა, რომელიც ჩვენი ხალხის უდიდეს ნაწილს შეადგენს, იმდენათ შეგნებულია, რომ შეიძლება ვანდეა არ გაიმეოროს, მარა გარემოებათა სიმძიმის გავლენით, ადვილათ გადადგამს არა სასურველ ნაბიჯს. ეს გარემოება გვავალებს გამოსადეგი ძალების რაციონალურათ და ეკონომიურათ გამოყენებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა მასწავლებელთა გამოქცევა პროვინციებიდგან. მასწავლებელი ერთი უმთავრესი ელემენტია სოფლის ცხოვრების კულტურულათ ამაღლებისა და მათი მასიური გადმობარგება ქალაქებში დიდათ დაეტყობა სოფლის ცხოვრებას, არავის არ უნდა, რა გინდ კარგი ადგილი შესთავაზონ, წავიდეს არამც თუ სოფლათ, პატარა ქალაქებშიაც კი. ჩვენი მოვალეობაა ამ ტენდენციას სერიოზული ანგარიში გაუწიოთ და თუ საჭირო იქნა, რაიმე პრივილეგიებიც შევქნათ, რომ მისი საშუალებით პროვინციაში მუშაობა ასე თუ ისე მიმზიდველი გახდეს. პროვინციების დაცლა იმდენათ დამაფიქრებელია, რომ ის სერიოზულ ყურადღებას ითხოვს და საჭიროა მის მოსაგვარებლათ ახლავე გადადგმულ იქნეს სათანადო ნაბიჯები.

განი.

## პრესა

ერევნის გაზეთ „ჰაიასტანი აშხატავორ“-ი 132 №-ში უპასუხებს „ბარბას“ (188 № ში მოთავსებულ წერილის გამო: „უგუნურნი“) მეთაური წერილით, რომელსაც სათაურად აქვს „მოღალატენი“:

„23 აგვისტოს „ბარბა“-ში კიდევ შეთავსებულია გრძელი და პროვოკაციული წერილი დაშნაკცუტიუნის შესახებ.

„ყველამ იცის, რომ ამ გაზეთის რედაქციას თავის საღვთო ვალად მიაჩნია სახელი გაუტეხოს დაშნაკცუტიუნს სომხის ხალხისა და უცხოელების თვალში.

„ამ მიზნის მისაღწევად „ბარბა“ ხშირად ეწევა ისეთ ხერხებს, რომელნიც ეკადრებიან მხოლოდ ბოროტ ადამიანებს. ამ ხერხებით ის ცდილობს ჩვენებთ თავს და პროვოკაციური ხმებით მუდამ სთესს ღვარძლს სომხებსა და ქართველებს შორის.

„კიდევ მეტი. მას მიზნად დაუსახავს გააშართლოს თათრის მოღალატენი და ყაჩაღები, რომლებმაც ოსმალო ოფიცრების და ადერბეიჯანელ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლო ჯოჯოხეთად გადააქციეს.

„ჩვენ ვწერდით, რომ საქართველომ კავშირი შეჰკრა მინიატიურულ ოსმალეთთან—ადერბეიჯანთან და გაგზავნა თავის წარმომადგენლები ერზერუმის ოსმალურ კონფერენციაზე.

„უკაცრავად, ერზერუმშია გაგზავნილი და არა **ტრაპიზონში**, როგორც თქვენა სწერდით, მაგრამ იქნება ესეც „ბარბის“ კორექტურული შეცდომაა?

„ეს არ კმარა. თქვენ ვერ უარყოფთ იმას, რომ მუდამ კავშირი გქონდათ ყოველგვარ ოსმალურ აგენტებთან. რომლებიც თფილისში მრავლადაა და იცავდით მათ.

„კიდევ მეტი, გაგა მართალი არ არის, რომ თქვენმა მინისტრმა ნ. რამიშვილმა ორჯელ ინახულა ენვერ-ფაშა თფილისში და ერთხელ ხანგრძლივად ესაუბრა ბაქოში? ყველამ იცის ეს და ეშვი არაა, რომ „ბარბის“ ქართველმა რედაქტორებმაც იციან ენვერ-რამიშვილის ერთმანეთის ნახვის ამბავი.

„იქნებ ბ. აზატიანმა არ იცის ეს! ბარბის“ რედაქტორებმა, ეშვი არაა, იციან, რომ ქართველ-ადერბეიჯანელთა კონ-

# დღეს

**ხაბჭოთა ჯარმა კიევი დახტოვა და გაემგრდა ახალ პოზიციაზე—ჩერნიგოვის სამხრეთით, 20—30 ვერხის მოშორებით.**

**ცარიცინის და ორენბურგის მიმართულებით ხაბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.**

**უმაღლესი ხაბჭოს წინადადებით ავსტრიამ უნდა დაუთმოს იტალის რეშენში რკინის გზა.**

ვენციაში არის საიდუმლო მუხლები, რომლებიც სპეციალურად სომხეთის რესპუბლიკას ეხებიან.

„საიდუმლო დიპლომატიის მოწინააღმდეგეებმა კეთილ ინებონ და გააცნონ ქართველ ხალხს ეს მუხლები.

„ბარბამ“ ყველაფერი ეს იცის და ტყვილად იკატუნებს თავს და ცდილობს გაამწვავოს სომეხ-ქართველთა ურთიერთობანი.

„საშუალებანი არ არის ამოწურული: ადერბეიჯანმა ხომ შესწირა (ფეშქეშად მიართვა) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას 80 მილიონი.

„შერცხვენილთ სურთ სხვები შეარცხვინონ. მაგრამ ვის ატყუებენ ისინი?“

„ჰაიასტან აშხატავორი“, რამდენადაც ვიცით, დაშნაკცუთიუნის ცენტრალური კომიტეტის ორგანოა, იმ პარტიისა, რომელიც მთელს სახელმწიფოს სათავეში უდგია და პასუხისმგებელ პარტიათ ითვლება. და ეს ორგანო, რომელიც მთავრობის აზრის გამომხატველ და ყოველ თავის სიტყვის პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს და ყოველ სიტყვას უნდა ფრთხილად ხმარობდეს, ეს ორგანო ახერხებს ერთ პატარა წერილში მოათავსოს მთელი ზღვა საზიზღარ და, რაც უფრო დაუშვებელია, პროვოკაციულ ტყუილებისა.

საქართველომ ოსმალთა კონფერენციაზე თავისი წარმომადგენლები გაუგზავნა ერზერუმში...

საქართველოს მუდამ კავშირი ჰქონდა ოსმალეთის აგენტებთან!!...

მინისტრმა ნ. რამიშვილმა ენვერ-ფაშა სამჯერ ინახულა და ხანგრძლივად ესაუბრა მას....

საქართველო-ადერბეიჯანის შეთანხმებაში საიდუმლო მუხლებია, რომლებიც სომხეთს შეეხება....

ადერბეიჯანმა საქართველოს 80 მილიონი „უფეშქაშა“.... და რომ ყველა ამ პროვოკაციას, რომელიც მიმართულია არსებითათ არა აზატიანის და ბარბის, არამედ საქართველოს რესპუბლიკის და მისი მთავრობის წინააღმდეგ, მეტი დამარწმუნებელი ძალა მისცეს, ეს გაზეთი მაგარ სიტყვებს ხმარობს, ვითომ ეს აზატიანმა არ იცის.

„ბარბამ“ ეს ყველაფერი იცის და თავს ტყუილად იკატუნებს... და სხვ.

ვაჭარ-მედუქნეების პარტია მთელ თავის პოლიტიკურ იმედებს მოტყუებაზე ამყარებს.

„ჰაიასტან აშხატავორი“ მუდამ ერთა და მეზობელ რესპუბლიკათა სოლიდარობაზე გაიძახის, თავის მოღვაწეობით კი სისტემატიურად პროვოკაციულ ჭორებს ავრცელებს მეზობელ რესპუბლიკებზე, განსაკუთრებით საქართველოზე და მის მთავრობაზე, როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარ გარეთ. ბოლოს და ბოლოს არ იცი, ვისთან გაქვს საქმე, გონებისგან გადასულ წრესთან, თუ საერთაშორისო პროვოკაციის უმსგავსო აგენტებთან.

# სკანასკნელი ცნობები

## ბაქოში.

„აზერბეიჯანი“ აცხადებს, რომ ზოგიერთ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, თითქოს შეთანხმება მომხდარიყოს ადერბეიჯანსა და მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელს გენ. ბარათოვს შორის, სიმართლეს არ შეესაბამება.

28 აგვისტოს კასპიის ზღვაზე ბალშევიკების და მოხალისეთა სამხედრო გემებს შორის მოხდა ბრძოლა. მოხალისეებმა ჩასძირეს ბალშევიკების ერთი გემი.

სომხეთიდან თფილისით მიმავალ ლტოლვილ მუსულმანებისთვის დახმარების აღმოსაჩენათ ადერბეიჯანის მთავრობამ გადასდო თფილისში მყოფ თავისი ელჩის განკარგულებაში 50 ათასი მანეთი.

## კეტროვსკში.

დიდი ხანია, რაც სამხედრო სამსახურში გაიყვანეს 18—27 წლამდე. ამ ჟამად სწარმოებს მობილიზაცია 27—43 წლამდე. ქალაქში ვანუწყვეტელი ჩხრეკა-დაპატიმრებაა. დაჭერილთ პირდაპირ სამხედრო ფრონთან გზავნიან და იქიდან გაუშინჯავად ისტუმრებენ მომქმედ ჯარში. დაქრილ-დასახიჩრებულნიც კი გაჰყავთ. მოსულ ჯარებს უმთავრესად კრასნოვოდსკში გზავნიან ბალშევიკების წინააღმდეგ.

## სტატისტიკა.

უბღლესი მთავრობის განკარგულებით დაბეჭდილ იქმნა სპარსეთის ლიბერალების გაზეთი „რაადი“. გაზეთში მოთავსებული იყო მეთაური წერილი, მიმართული ინგლის-სპარსეთის შეთანხმების წინააღმდეგ. გამომცემლებს აზრათ აქვთ გამოსცენ ახალი გაზეთი „ბარგ“ ის (ჭეშმარიტი) სათაურით. (აზ.)

# საერთაშორ. სოციალისტური კონფერენცია ლიუცერნში.

ჩვენ სისტემატიურად ვერ ვიღებთ „უმანიტე“-ს ნომრებს და ამიტომ ლიუცერნის კონფერენციის მუშაობის თანდათანობით ანგარიშს, სამწუხაროდ, მოკლებული ვართ. ჩვენ მიერ მიღებულ მასალიდან შემდეგი ირკვევა: ორ მიმდინარეობათა შორის უთანხმოებამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო ბალშევიზმთან დამოკიდებულების კითხვის გარჩევის დროს (რეზოლიუცია ინტერვენციის შესახებ). კონფერენციაზე კინაღამ არ მოხდა განხეთქილება და დაშლა მეორე ინტერნაციონალისა. უკანასკნელ კრიტიკულ მომენტში მიიღეს ცნობა უნგრეთის ბალშევიკურ მთავრობის დამხობის შესახებ. ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის დელეგატებზე და მისწრაფება შეთანხმებისადმი მათში გააძლიერა.

რენოდელმა და ადლერმა რეზოლიუცია შეიტანეს და აცხადებდნენ პროტესტს უნგრეთში მომხდარ სახელმწიფოს გადატრიალების გამო. რეზოლიუცია ერთხმად მიიღო კონფერენციამ.

ამასთანავე რენოდელმა (საფრანგეთის უმციერესობის წარმომადგენელი) განაცხადა, რომ ის დათმობაზე წავა ბალშევიკების საქმეებში ჩარევის კითხვის შესახებ რეზოლიუციის მიღების დროს. ის მოითხოვდა მხოლოდ, რომ ამ რეზოლიუციაში შემოკლებული ყოფილიყო ის მუხლები, სადაც ჩამოთვლილია ის პირობები, რომლებიც ბალშევიკებმა უნდა შეასრულონ. აშკარაა, საქმე შეეხებოდა მიზნებს იმ საანკეტო კომისიის, რომელიც მეორე ინტერნაციონალმა უნდა გაჰგზავნოს რუსეთში.

საფრანგეთის უმრავლესობის წარმომადგენელმა **რენულმა** განაცხადა, რომ მემარცხენენი უარს ამბობენ ყოველგვარ მოთხოვნილებებზე, რომელთაც ბალშევიკების მიმართ ულტიმატიური ხასიათი ექნება,

ბოლოს კონფერენციის კომისიამ მიანდო **ჰილფერდინგსა და წერეთელს** ცდილიყვნენ, რომ რეზოლიუციაში შეერიგებინათ ორივე შეხედულება და მიეცათ მისთვის ორივე მიმდინარეობისათვის მისაღები ფორმა.

„ჰილფერდინგმა და წერეთელმა—იტყობინება „უმანიტეს“ კორესპონდენტი—შეთანხმებას მიაღწიეს. კომისიამ ღამის სხდომაზე დაამტკიცა ეს შეთანხმება მცირე შესწორებებით. ჰილფერდინგ წერეთლის ტექსტი მიიღეს კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. ვიდრე რეზოლიუციის ტექსტს მოვიყვანდეთ, ჩვენ ამოვწერთ ფრიც ადლერის სიტყვიდან ნაწილს, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კონფერენციაზე.

### ადლერის სიტყვა

ადლერი ამბობს, რომ შემთხვევების ფატალურმა მსვლელობამ უფრო მეტი სამსახური გაუწია ჩვენ მიზნებს, ვიდრე ჩვენი ამხანაგების მუშაობამ. ის, რაც სოციალისტებში 6 თვის წინად ჭეშმარიტებად ითვლებოდა, უფრო სწორეა დღეს: ვერსალის იმპერალისტურმა ზავმა ყველას თვალები აუხილა. ამხანაგები ბოლოს და ბოლოს იგებენ, თუ რამდენად შემცდარია მოლოდინი, თითქოს არასოციალისტურ მთავრობებისაგან რაიმე გამოვიდოდეს კარგი. ვერსალის ზავი ისევე სასირცხოა, როგორც ბრესტ-ლიტოვსკისა. ის არის ერთად ერთი შესაძლებელი შედეგი ომისა, რომელიც იყო ომი მხოლოდ მოქიშპე იმპერიალიზმებს, ბურჟუაზიებს შორის.

შემდეგ ადლერი ეხება ავსტრიელ ამხანაგების ტაქტიკას. ომის დროს მათ ჰყოფდათ პრინციპიალური უთანხმოებანი, დღეს კი საქმე ეხება მხოლოდ უთანხმოებას მეთოდებში. ისინი (უთანხმოებანი) ისე ძლიერნი არ არიან, რომ რასკოლი გამოიწვიონ, რომელიც არავის არა სურს. ჩვენ შევინარჩუნეთ ერთიანობა და ამ ჩვენი ერთობის წყალობით ეკონომიურად ღარიბ ავსტრიაში პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე გერმანიაში, სადაც სოციალიზმის შორის ბრძოლას მიჰყავს ქვეყანა იქამდე, რომ იქ მთავრობა და სოციალური პირობები მერყეობა. ვიღაცამ მოაგონა ადლერს, რომ ის თავის ქვეყანაში ბალშევიზმს ებრძვის. ადლერი უპასუხებს: ჩვენ ვაკრიტიკებთ ბალშევიკებს, მაგრამ ვაკრიტიკებთ არა როგორც ბურჟუები, არამედ—როგორც სოციალისტები. ვენის მუშათა საბჭოში ჩვენ კონტაქტი გვაქვს ავსტრიის კომუნისტებთან, რომლებისაგანაც ჩვენ გვყოფს მხოლოდ უთანხმოებანი მეთოდების შესახებ.

ინტერნაციონალმა არ უნდა გაჰკიცხოს ბალშევიზმი. მას, ამ სუსტ ინტერნაციონალს, არა აქვს ამის სათანადო ავტორიტეტი. ეს ინტერნაციონალი კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი ნაწილია... მესამე ინტერნაციონალი არსებობს და უაზრობა იქნებოდა მისი არ დანახვა ან და მისი დაცინვა. მე არ მინდა არჩევანი მოვახდინო მეორე და მესამეს შორის. ვდგევარ რა უპირველესად ყოვლისა ერთიანობის წინაშე, ვარჩევ ორივეს.

არა—ამბობს ადლერი—ეს დამახინჯებული ინტერნაციონალი, რომელიც ლიუცერნშია შეკრებილი, არ არის ინსტანცია, სადაც გადასწყდებოდეს ყველა წყეული კითხვები: ბალშევიზმის შესახებ, გერმანიის სოციალიზმის შესახებ, ნუ დავივიწყებთ, თორემ ბეტად ბევრის დაგმობა მოგვიხდებოდა... პირიქით, ვცადოთ ერთმანეთს დაუახლოვდეთ ყველა შეშმარიტი სოციალისტები როგორც ერთი, ისე მეორე ინტერნაციონალიდან. შევეცადოთ ერთმანეთის გაგებას. მომქმედი ინტერნაციონალი, რომლის შექმნისაკენ ჩვენ მივისწრაფით, მოიპოვებს მაშინ შეურყეველ ნიადაგს.

### აქსელროდის გამოსვლა

„ჰუმანიტეს“ ცნობით ბალშევიკების წინააღმდეგ ცხარე სიტყვით გამოვიდა პ. ბ. აქსელროდი, მაგრამ სამწუხაროდ გაზეთს არ მოჰყავს მისი სიტყვა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ორი დიდი კითხვის შესახებ: საზავო ხელშეკრულობის (ტექსტი ჩვენ მიერ მიღებული „ჰუმანიტე“-ში არ არის მოყვანილი) და რუსეთის საქმეებში ჩარევის შესახებ.

უკანასკნელ სხდომაზე, 9 აგვისტოს, კონფერენციამ ერთხმად მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციებისა დამონებულ ერთა დასასების სასარგებლოდ.

**რეზოლიუცია მიღებული ლიუცერნის კონფერენციის მიერ რუსეთის საქმეებში ჩარევის შესახებ:**

„კონფერენცია ხელახლა გამოსთქვამს ინტერნაციონალის წინანდელ პროტესტებს მოკავშირე მთავრობების რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, რომელი პროტესტებიც არის გამოთქმული როგორც ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის, ისე მის ეროვნულ სექციების მიერ.

ის ჰფიქრობს, რომ მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა მთავარ ფრონტებზე, დამლუპველ პოლიტიკის გამო, არ არის საშუალება მისი (ომის) მოსპობისა იმ ადგილებში, სადაც კონფლიქტებს ჯერ კიდევ ალაგი აქვთ.

ის ჰგმობს, რომ მას შემდეგ, რაც ომი დამთავრდა მთავარ ფრონტებზე, დამლუპველ პოლიტიკის გამო, არ არის საშუალება მისი (ომის) მოსპობისა იმ ადგილებში, სადაც კონფლიქტებს ჯერ კიდევ ალაგი აქვთ.

ის ჰგმობს ამ აქტს, რომელიც არის გამოწვევა მთელი დემოკრატიისა და საფრთხე კაპიტალისტურ მთავრობების მხრით ყველა სოციალისტური პარტიების მიმართ.

კონფერენცია პროტესტს აცხადებს ბლოკადის გაგრძელების გამო, რომელმაც შიმშილსა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო 100 მილიონ ადამიანთა არსება იმ დროს, როცა კონტრ-რევოლიუციას ყველაფერს აწოდებენ.

ინტერნაციონალი იმედს გამოსთქვამს, რომ სოციალისტური პარტიები ყველა საშუალებებით ფარდას ახდიან ამგვარ მდგომარეობის შედეგებს და შეებრძოლებიან მათ. ის (ინტერნაციონალ) მოუწოდებს თავის სექციებს ძალა დაატანონ მოკავშირე მთავრობებს, რომ მათ რუსეთიდან ჯარები გამოიყვანონ, ხელი აიღონ რეაქციის ყოველგვარ პოლიტიკის დახმარებაზე, როგორიც არ უნდა იყოს ამ რეაქციის გამოხატულება.

ამგვარად კონფერენცია გადაეხვია ევროპის ხალხის განკარგულებაში, რომელიც გარეშე ძალადობას განიცდის—მთელი ძალით მორალური ძალა. ის ხელ-ახლად იმეორებს თავის კანონიერ მოთხოვნილებათ ინახულოს რუსეთი, რომ გააცნოს პროლეტარიატს და საზოგადოებრივ აზრს რევოლიუციური ბრძოლის ყველა მოვლენები, უთანხმოებანი სოციალისტურ პარტიებში, კონტრ-რევოლიუციონერების და უცხო მილიტარიზმის მიქმედებანი რუსეთში, მილიტარიზმი, როგორც გერმანული, ისე მოკავშირეთა.

კონფერენცია ისევ იმეორებს თავის დადგენილებას რუსეთში საქმის მდგომარეობის შესასწავლად კომისიის გაგზავნის შესახებ. იგი დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ამ კომისიამ აღმოაჩინოს იმ უთანხმოებათა მიზეზები, რომლებიც სოციალისტურ პარტიებში არსებობს, მანვე უნდა გამოარკვიოს რეპრესიების წარმოშობის მიზეზები, აგრეთვე მიზეზები იმ კონფლიქტებისა, რომლებიც არსებობს საბჭოთა მთავრობას, და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის.

კონფერენცია ჰფიქრობს, რომ თანამედროვე მთავრობა სიამოვნებით შეუწყობს ხელს ინტერნაციონალურ კომისიას სიმართლის გამორკვევაში, იმ კომისიას, რომელიც სრულიად მიუდგომელია და ძმური ერძნობებით არის განწყობილი რუსეთის პროლეტარიატისადმი მისი კეთილდღეობისა და გადარჩენის გულისათვის“.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

6 სექტემბერი.

### ბალშევიკების ცნობები.

**მოსკოვი**, 5 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე ფინლიანდიის ყურეში მტრის სამხედრო გემები ყუმბარებს უშენენ კოპორიის ნაპირებს. დვინის რაიონში დვინის სამხრეთით მდ. დვინის დასავლეთ მარცხენა ნაპირზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. პოლოცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო სადგური ზიაბკი, მაგრამ მტრის განახლებული იერიშის გამო იძულებული გახდა დაეტოვებია. ბობრუისკის და ლუნინეცის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით დაუტოვეს ქ. კიევი და გამაგრდნენ ახალ პოზიციაზე ჩერნიგოვის სამხრეთით 20—30 ვერსის მანძილზე. სამხრეთის ფრონტი. სუმის მიმართულებით ცხარე ომი სწარმოებს ვოროჟბის ჩრდილოეთით. სუჟის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიკურეს სოფლები 15—20 ვერსით სამხ. დასავლეთით (?) ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი. ნოვო-ოსკოლის რაიონში ჩვენი რაზმები ენერგიულათ განაგრძობენ წინსვლას ნოვო-ოსკოლისაკენ. ევსტრატოვის მიმართულებით, სადგურ პოდგორნოესთან ბრძოლის დროს, ხელთ ვიგდეთ 2000 ტყვე. 2 ტყვიის მფრქვეველი, ვინტოვკები და დიდძალი პატრონები. ბოგუჩარის მიიმრთულებით ჩვენი ჯარები იბრძვიან 20 ვერსით ჩრდილოეთით და 50 ვერსით ჩრდილო-აღმოსავლეთით ქ. ბოგუჩარიდან. ხვასტ ბუზულუკის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. ცარიცინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით წინ წაიწიეს და 25 ვერსზე მიუახლოვდენ ქ. ცარიცინს. აღმოსავლეთის ფრონტი. ცარიცინის რაიონში ჩვენმა ჯარებმა აიღეს პოკროვსკოე კიაზოვკა 40 ვერსის მანძილზე ცარიცინის აღმოსავლეთით და ენერგიულის ბრძოლით განაგრძობენ წინსვლას ცარიცინისაკენ. ყიზლიარის მიმართულებით, ბუგოვინის რაიონში, 75 ვერსის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით ასტრახანიდან ჩვენმა ჯარებმა განაახლეს წინსვლა. ორენბურგის რაიონში ჩვენი ჯარი ენერგიულათ მიიწევს აქტიუბინსკისკენ. ორსკის რაიონში ავიღეთ მთელი წყება სოფლებისა 20—40 ვერსის მანძილზე ორსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით და 60—75 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით. დამატებითი ცნობების მიხედვით, ორენბურგის მსროლელთა მეხუთე დივიზიის დატყვევების დროს, რომელიც მოხდა ორსკის მახლობლად, ჩვენმა ჯარმა წამოიყვანა 2000 ტყვე, 17 ტყვიის მფრქვეველი, 2000 ვინტოვკა, 228 ცხენი, 200,000 პატრონა და სხვა მრავალი სურსათი.

### იტალიური პრესის ცნობები

ვარშავიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ 8 აგვ—25 აგვისტომდე ბალშევიკების ფრონტიდან დავლად წაუღიათ: 465 ვაგონი, 24 ორთქლავალი, 2 ჯავშნიანი მატარებელი, 15 ზარბაზანი, ამუნიცია და მრავალი სამხედრო მასალა. ტყვეთ წამოყვანილია 50 ოფიცერი, 8700 ჯარისკაცი.

უმაღლესი საბჭო დასთანხმდა ტიტონის წინადადებაზე, რომ ავსტრიამ უკომპენსაციოთ უნდა დაუთმოს იტალიას რეშენში რკინის გზა, რათა იტალიის ადმინისტრაციას საშუალება ექნეს დაუყოვნებლივ ისარგებლოს მით.

პოსანიოში ავსტრიის ყუმბარების მიერ დანგრეულ სახლში იპოვეს ცნობილ სკულპტორის კანოვის ანდერძი, რომელიც შედგენილია 1809 წელს. ესე იგი მის სიკვდილამდე 13 წლით ადრე. ვენეციის მუნიციპალიტეტმა თავისთვის მიიღო ამ ძვირფას საბუთების მზრუნველობა.

# ახალი ამბები

**საქართველოს ერობების წარმომადგენელთა** მე-11 **ყრილობა** 11 სექტემბერს, დილის 10 საათზე. თფილისის მაზრის ერობის ბინაზე გაიხსნება. დღიური წესრიგი: ა) ბიუროს მოქმედების ანგარიში, ბ) ერობების მდგომარეობა (მოხსენებანი ადგილებიდან), გ) ერობათა ცენტრის ორგანიზაცია. დ) საერობო დებულებანი: ცენტრის, მაზრის და თემის ერობათა, ვ) ერობების ფინანსიური მდგომარეობა, ე) ადმენისტრაცია, ზ) მიმდინარე საკითხები.

**გვარდიის სალამი.** ქუთაისის სახალხო გვარდიის საოლქო ყრილობისგან მისალმების დეპეშები მიიღო მთავრობის და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეებმა და გვარდიის მთავარმა შტაბმა.

**სეირნობა.** სექტემბრის 21 ს ქართულ კლუბის ბაღში გაიმართება სეირნობა ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ.

**კაპელა.** ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის „კაპელამ“ დაამთავრა მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს პროვინციაში სადაც გამართა 14 კონცერტი. იმ ადგილებში, სადაც ჯარის ან გვარდიის ნაწილები იყო, „კაპელამ“ გამართა უფასო კონცერტები. ამ თვის შვა რიცხვებში „კაპელა“ ჩამოვა თფილისში. კოოპერატივთა კავშირს განზრახული აქვს მისი აღმოსავლეთ საქართველოში გაგზავნა.

**ინგლისის საველე ფოსტა-ტელეგრაფის** კავშირის უფროსმა გიჩკოკმ საგანგებო წერილით მადლობა მიუძღვნა საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს იმ დახმარებისათვის, რომელიც გიუწიეს მას როგორც ოლქის უფროსმა, ისე მისმა თანამოსამსახურეებმა.

**ყალბი საბუთი.** 30 აგვისტოს სამხედრო სამინისტროს სამმართველოში გამოცხადდა საჯადარიგო ჯარის აფიცერი კოჩაკიძე, რომელმაც საკომენდანტოს სახელით მოითხოვა მისთვის 300 ფუთი შაქრის მიცემა ამერიკის დამხმარე კომიტეტებისათვის გადასაცემათ. მოლაპარაკებისას გამოდგა, რაშიაც ბოლოს გამოტყდა კოჩაკიძე და დასძინა, რომ ამას წინეთ ვან მოახერხა ნიკოლოზ ამილახვართან ერთად ამ გზით შაქრის გატანა. კოჩაკიძე შეიპყრეს. გამოძიება გრძელდება.

**მიხეილ კავსაძის გუნდის მოგზაურობა.** 10 ენკენისთვიდან სახ. მომღერალთა გუნდი მ. კავსაძის ხელმძღვანელობით გაემგზავრება დასავლეთ საქართველოში ლექცია-კონცერტების გასამართავად. გუნდი გაემგზავრება გორში, ხაშურში, ყვირილაში, ქუთაისში, სამტრედიაში, ბაბაშში, სენაკში, ფოთში, სამუხიერმანო საქართველში, ფრონტზე და სხვაგან. გუნდის პროგრამაში შედის განსაკუთრებით ხალხური ორიგინალური სიმღერები, გადაღებული ძველი მუსიკოსებას მიერ.—გუნდს დათმობილი აქვს საკუთარი ვაგონი.

**რესპუბლიკის აფიცერთა ეკონომიური** საზოგადოებამ ინგლისელებისაგან შეიძინა დიდძალი საჭონელი,—როგორიც არის მაგალითად კონსერვები, შედედებული რძე, წუმწუმა, შოკოლადი, „ბისკვიტი“ და სხვ. საჭონელი საუკეთესო ღირსებისაა და ამასთანავე შეღავათიან ფასებშია შეძენილი. საზოგადოებამ ეს საჭონელი უკვე გამოიტანა და ჰყიდის როგორც მთავარ საწყობში ისე განყოფილებებში.

ᲥᲠᲔᲑᲔᲑᲘ.

განახლებული მეოთხე რაიონული კოლექტივის პირველი სხდომა დანიშნულია კვირას, დილის 10 ს. მოვალენი არიან დაესწრონ როგორც ახალის, ისე ძველი კოლექტივის და სარევიზიო კომისიის წევრები.

— კვირას, 7 სექტემბერს, საღ. 4 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონთან არსებულ ქალთა ორგანიზაციის კრება.

— ორშაბათს, 8 სექტემბერს, 6 ს. ტრამვაის პარკში შესდგება საზოგადო კრება საქ. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა (ტრამვაის ყველა მუშა მოსამსახურეთა).

ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

**საჭილაო** (სენაკის მაზ.) ამ დღეებში ადგილობრივ მცხოვრების გიორგი ფალავას სახლში აღმოაჩინა ადმინისტრაციამ თფილისში ექიმ მგელაძის ბინიდან გატაცებული სხვადასხვა ნივთები. ამის გამო დაატყვევეს აღნიშნულ ფალავას ვაჟი და სხვები.

**აკეთის** (გურია) უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისთვის საჭიროა ერთი მათემატიკის და ერთი ფიზიკა გეოგრაფია-ბუნების მეტყველების მასწავლებელი. სექტემბრიდან სასწავლებელს ინახავს ერობა. თხოვნა უნდა გაიგზავნოს ოზურგეთის სამაზრო ერობის განათლების განყოფილების გამგის სახელზე.

## საერთო განათლების კურსების გამგეობის საყურადღებოთ.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც თფილისში დაარსდა საერთო განათლების კურსები ჩვენი საუკეთესო პედაგოგების ხელმძღვანელობით. სწავლა პირველი სემესტრის განმავლობაში სწარმოებდა მე-7 გიმნაზიის შენობაში (კადეტთა კორპუსში). მთავრობის დადგენილებით ეს შენობა გადაკეთებულ იქნება სამინისტროების მოსათავსებლათ. დათხოვნის შემდეგ მსმენელებს არავითარი ცნობა არ აქვთ, თუ რა ბედი ეწია კურსებს, გავრცელებულია ხმები კურსების დახურვის შესახებ. ეს კი, დიდ უსიამოვნებას და უიმედობას ჰქმნის მსმენელთა შორის. კურსების დირექტორის განცხადების თანახმად, დათხოვნის დროს, სწავლა უნდა განახლებულიყო 1-ლ სექტემბრიდან, რაც სათანადოთ უნდა გამოქვეყნებულიყო პრესაში. გადის სექტემბრის პირველი რიცხვები და არამც თუ მეცადინეობა, მსმენელთა ხელახალი მიღებაც კი არ დაწყებულა, თუმცა რიცხვი მსურველებისა ძალიან ბევრია. საჭიროა რაც შეიძლება მალე გამოქვეყნებულ იქნას პრესაში როგორც კურსების ბედი, ისე ახალი ბინა, სადაც უნდა მომავალში დაიწყოს მეცადინეობა.

მსმენელთა მონდობილობით:

**ლეო ორაგველიძე.**

# ეროვნული ნაცარ-ქექიები

(ბ. ლ. კიკაბიძის პასუხის გამო).

გვიან წავიკითხე ბ. ლ. კიკაბიძის სამაგალითო ნაწარმოები ჩემ საპასუხოთ. მთელს ბორჩალოს მაზრაში, რომლის მწარე ბედსაც ასე აუჩუყებია ბ. ლ. კიკაბიძის ჩვილი გული, სამწუხაროთ, ერთი ცალიც არ მოდის „პიტალო კლდე“ და ამ მიზეზის გამო აქამდის უპასუხოთ დამრჩა კიკაბიძის ნაცოდვილევი.

ბ. კიკაბიძე ბორჩალოდან ხელცარიელი დაბრუნდა. წყეულმა ესდეკებმა იქაც ერთი ხმაც არ არგუნეს მის პარტიას და რაღა გასაკვირველია, რომ თავის გასამართლებელ საბუთს დაეძებს და ერთი ძკვეხარას არაკის არ იყოს, ცდილობს თავისი ჩვეულებრივი მარცხი ვინმეს გადააბრალოს. საქვეყნოთ აცხადებს—ყველაფერი, რაც ქვეყანაზე უბედურება ხდება, სულ მარტო რამიშვილის ბრალიაო.

კიდევაც ამიტომ არევია ასე გზა-კვალი ბ. კიკაბიძეს და თუ სადმე რაიმე გაუგონია, ან მის საკუთარ გოგრას შეუთხზავს, ყველას მე მაწერს.

ჯერ მარტო ის რათ ღირს, რომ კიკაბიძემ უკვდავ ჩეხოვის „ორატორისავით“ არც კი იცის, ვისთან აქვს საქმე და ვინ მოსთვლის, რა და რა თანამდებობას არ მაკისრებს. „ბორჩალოს ემისარი, მთავრობის წარმომადგენელი, პროპაგანდისტი, მაზრის მმართველი, დიქტატორი“ და კიდევ რა გინდა სულო და გულო. ის კი ვერ გაუგია ამ მართლაც უმგვანო მწერალს, რომ ბორჩალოს მაზრაში მე ვარ მხოლოდ და მხოლოდ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებული და, როგორც ასეთს, არავითარი საქმე და კავშირი არა მაქვს არც მაზრის მმართვა გამგეობასთან და არც მის ადმინისტრაციასთან. აბა რაიმე დიქტატურაზე ლაპარაკი ხომ სასაცილოა და მეტი არაფერი. ჩემი მოვალეობაა აგრარულ რეფორმის ხელის შეწყობა და მისი წესიერათ გატარება. საამისოთ კი ჩვენ გვაქვს ყველასათვის ცნობილი მიწის კანონები და მეც ამ კანონის თანახმათ ვმუშაობ შეძლებისა დაგვარათ. რა ვუყოთ, რომ ჭობულოვ ორბელიანების იდეოლოგს ბ. ლ. კიკაბიძეს და კომპანიას არ მოსწონთ ეს კანონი და მის საწინააღმდეგოთ ტყუილ უბრალოთ ამდენი ტყვია-წამალი დახარჯეს ბორჩალოს მაზრაში? საინტერესოა, რომ კიკაბიძე ამავე დროს სრულებით არ იცნობს ჩვენს აგრარულ კანონებს და მისი ცხოვრებაში გატარების წესებს. რომ ასე არა, აბა რომელი ჭკუაში მყოფელი იტყოდა „რამიშვილის ბორჩალოს ფავორიტები ორ-ორ ნორმას ღებულობენ, ხოლო სხვები თითო ნორმის ღირსიც ვერ გამხდარანო“, აბა რა უნდა მოსთხოვო ამის დამწერს? ბ. კიკაბიძის გარდა, რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ ნორმას აძლევს მესაკუთრეს არა რწმუნებული რამიშვილი, არამედ ამისთვის განსაკუთრებული მიმღები კომისია, რომლის აქტებს ამტკიცებს აგრარულ რეფორმათა განყოფილება, სადაც კანონის ძალით შეუძლია მიმართოს საჩივრით ყველა უკმაყოფილომ. მე კი პირადათ ბ. კიკაბიძე ვერ დამისახელებს ვერც ერთ მაგალითს იმისას, რომ ჩემგან, ან ჩემის ზეგავლენით საზოგადოთ ვინმეს ნორმა მისცემოდეს აბა ფავორიტებზე ლაპარაკი ეს კიკაბიძის საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. რა ენაღვლება, სთქვა და წავიდა. რას დაგიდევს ბ. კიკაბიძე ფაქტების დასახელების, კანონებისა დაწესების ცოდნას.

ეხლა კიდევ მათ გვათ რამიშვილები დასდგომიათ ყელზე და ის ახრჩობთ. ასეა, ხოლმე, ერთხელ თავქვე დაქანებული კაცის საქმე: ჯერ იყო და ბ. კიკაბიძე და კომპ. საზოგადოთ იმერლების წინააღმდეგ ეწეოდენ პროვოკაციას, შემდეგ გადავიდენ კურძოთ გურიაზე, ეხლა გვარებამდისაც ჩამოხურდავებულან და ასე მიექანებიან უფსკრულისაკენ, სანამ საბოლოოთ არ მოიტეხენ კისერს.

გავყვეთ ქვევით.

ბ. კიკაბიძემ მშვენივრათ იცოდა, თუ ვინ და რისთვის წაიღო ავეჯი ყოფილ მემამულე გ. ორბელიანის სახლიდან. მაგრამ მაინც ჭორაობს, ეგება ვინმე გულუბრყვილომ დამიჯეროსო.

ბ. კიკაბიძისთანა ურიგო მეგაზეთეების წყალობით იძულებული ვარ მოკლეთ გავაცნო მკითხველს ამ საქმის ნამდვილი ისტორია, და მით ნათელ-ვყო კიკაბიძის მართლაც და უმგვანო საქციელი, როგორც ამ შემთხვევაში, ისე ყველა დანარჩენში, აი საქმე რაშია: ორბელიანის მიწა ს ტანძიაში თავის შენობითა და ინვენტარით კანონის ძალით გადასულია სახელმწიფო ფონდში აი ამ სახლის ზოგიერთი მორთულობა კანონიერის გზით და სათანადო სიის შედგენით გადმოუტანია დროებით სასარგებლოთ ბორჩალოს მაზრის ერობის ახალ გამგეობას. საინტერესოა, რომ ამ დროს ბ. კიკაბიძეც იქ ბრძანებულა. ჩემზე უკეთაც სცოდნია ამ საქმის ნამდვილი გარემოება და ამის შემდეგ გაუწვითლებლათ გამომდგარა და სწერს თავის „პიტალოში“: „ამ აგენტს (ე. ი. მე) მოსაგონი აქვს აგრეთვე ისიც, რომ მხოლოდ მას ეკუთვნის მუშაობა და კიდევ ახალი აღელვების გამოწვევა გ. ორბელიანის სახლის უკანონოთ გახსნისა და შიგ შენახულ ავეჯის ინტერნაციონალურათ გაყოფისა“-ო.

სჩანს „პიტალოს“ მწერლებს შუბლიც „პიტალო“ ჰქონიათ, თორემ ისე აბა რა სათქმელი იყო: ერობამ ავეჯი წამოიღო და ეს რამიშვილის ბრალიაო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ერთი ვკითხოთ ბ. კიკაბიძეს:—რა აღელვების გამოწვევა შეუძლია ყოფილ მემამულე ორბელიანის ადგილობრივი გლეხების ოფლით გაშენებულ და ეხლა რევოლიუციის კანონით საბელმწიფო გადასულ სასახლიდან მთელი მაზრის ერობის საჭიროებისათვის ავეჯის გამოტანას? თუ მართალი ნებავს ბ. კიკაბიძეს, მოვახსენებ, რომ პირიქით აღელვებას გამოიწვევდა, ეს ავეჯი რომ თითონ ორბელიანს წაეღო და არა ისეთ საზოგადოებრივ დაწესებულებას, როგორიც არის სამაზრო ერობა.

აბა კაი ბიჭი იყო კიკაბიძე და ეთქვა იქვე გლეხებისათვის: ეს სახლი ორბელიანის, თქვენი ბატონის არის, და ხელი არ ახლოთ.

ბ. კიკაბიძეს რათ სჭირია იმის ცოდნა, რომ ორბელიანის აგენტებმა კიდევაც სცადეს ამ სახლის ჩუმათ გაყიდვა, მაგრამ სწორეთ იმ ხალხმა არ მისცა ამის ნება, რომელიც ეხლა ბ. კიკაბიძის სიტყვით, ასე ღელავს ამ ამბის გამო.

არა ბ. კიკაბიძევ, ამისთვის არავინ არ ღელავს და არც აღელდება, გარდა ალბათ თვით ყოფილ მემამულე ორბელიანისა და მასთან ერთად თქვენი ჩვილი ეროვნულ-თავადური გულისა. ეს რომ ასეა, იქიდანაც სჩანს, რომ იმ სოფლის გლეხებს, სადაც ეს ამბავი მოხდა, თქვენთვის ერთი ხმაც არ მოუციათ. მარა თქვენი გონება იმდენათ დაუბრმავებია ჩემი სახელის ტალახში მოსვრის სურვილს, რომ აღარც კი ფიქრობთ იმაზე, რასაც სწერთ და მით მხოლოდ თავის თავს იგდებთ სამასხარაოთ.

მარა ბ. კიკაბიძე ამასაც არ სჯერდება, ის განაგრძობს თავის ნაცარ-ქექიობას და სცდილობს ბორჩალოს შესახებ ახალი მორიგი პროვოკაცია შეთხზას იგი საქვეყნოდ გაჰყვირის: არიქა, უშველეთ, „რამიშვილის პოლიტიკის წყალობით დინჯი ბორჩალო იტანჯება, ხალხი გმინავს, ღმუის, მთავრობას აღარ ენდობა, მის ფულებს აღარ ღებულობს, საცაა ხანძრები იფეთქებსო“ და სხვა ასეთები.

ტყუილად კარგავთ სულს, ბ-ნო კიკაბიძევ! თქვენდა სამწუხაროთ არაფერი ამ გვარი ბორჩალოში დღეს არ ხდება და ხედავად თქვენი აქეთკენ მიმართული მეცადინეობისა, იმედია, არ მომავალში მოხდება. პირიქით, თქვენდა სამწუხაროდ, ბორჩალოს მაზრა დიდი კმაყოფილიც არის ჩვენი მთავრობის პოლიტიკისა და განსაკუთრებით კი იმ აგრარული რეფორმისა, რომელიც თქვენ ასე მოსვენებას არ გაძლევთ. ეს თქვენც მშვენივრათ დაინახეთ აქ და სწორედ ეს გიკლავთ გულს, თორემ როდის იყო, რომ თქვენ ჩვენი მთავრობისადმი ხალხის უნდობლობა გაღონებდათ?!.

რაც შეეხება პირადათ ჩემს მუშაობას ბორჩალოს მაზრაში, ამაზე მე არას ვიტყვი. დღე, ეს თვით ხალხმა და იმ პირებმა დაიფასონ, ვისაც მართლა ხალხის კეთილ-დღეობა და არა ორბელიანების სახლები და ავეჯები აინტერესებთ. რაც შეეხება აგრეთვე მაზრის ადმინისტრაციის, თუ სხვა ვინმე ბნელი პიროვნების ზოგიერთ ბოროტ-მოქმედებას, შესაძლებელია ამას მართლაც ჰქონდეს ადგილი, მარა თქვენ რომ სიმართლე გაინტერესებდეს და არა პირადათ ჩემი დამცირება, მაშინ იმასაც გაიგებდით, რომ ასეთ პირებთან მე არავითარი საერთო არა მაქვს და მათაც ისე ვებრძვი, როგორც თქვენს აქაურ მავნე მოქმედებას ვებრძოდი. ამავე მიზნით მიედ-მოედებით თქვენ რაღაც ზედმეტ გადასახადებზე, ღალებზე და სხვა ასეთებზე. თუ მოქალაქეობა და გამბედაობა შეგწევთ, პირდაპირ, კონკრეტიული ფაქტები დაასახელეთ, თორემ ასეთი საერთო ფრაზების წამოსროლით თქვენ შეცდომაში ვერავის შეიყვანთ, მხოლოდ გოგოლის უნტერ აფიცერის ცოლივით თავის თავს გაამათრახებთ.

მაშ რაშია საქმე, რამ აამხედრა ბ. კიკაბიძე ასე შეუბრალებლათ მაინც და მაინც რამიშვილის წინააღმდეგ, რატომ სხვებზე არაფერს სწერსო,—იკითხავს შეიძლება მკითხველი. მოგახსენებთ:—ორმა გარემოებამ. ერთიჩემმა წერილმა კიკაბიძის და მისი აგენტების პროვოკაციულ მოღვაწეობაზე ბორჩალოს მაზრაში. (იხ. „ერთ“. № 175) მართალია, მაშინ ბ. კიკაბიძე აქ ცოტას მორცხვობდა და ჩვენს შეკითხვაზე სიმონიშვილის ყოფაქცევის შესახებ, ასე გვიპასუხებდა: რა ვქნა, მეც არ მომწონს მისი საქციელი, მარა ჩვენ სხვა არავინ გვყავს აქ სამუშაოთო. ვიტყვი მეტსაც, ის გადაჩრით ვერც კი ამბობდა სიმონიშვილი ჩვენი პარტიის წევრი და ოფიციალური აგენტიაო. ეხლა კი დახე მის უტიფრობას; ნიღაბი სრულებით ჩამოუხსნია და აშკარათ გამოდის სიმონიშვილის დამცველათ, მარა აქ მის წინ ამართულია მთელი რიგი წერილობით საბუთებისა და ისიც ასე მორცხვათ უყვლის გვერდს ამ საკითხს.

არის მეორე გარემოებაც, რომლის შესახებ კიკაბიძე კრინტსაც არა სძრავს, რადგან არ ჰყოფნია გამბედაობა მისი დასახელებისა, ეხლა მე ვუშველი და მოვაგონებ იმ სალამოს, როცა იგი თავ-ქუდ მოგლეჯილი გარბოდა ეკატერინოფელდის ქუჩაზე და წელში სამათ მოხრილი ღობე-ყორეს ეფარებოდა, რათა თავი გადაერჩინა შესაფერი სასჯელისაგან, სიმონიშვილის შესახებ ჩემი შეკითხვის დროს ჩემდამი მომართულ უშვერი სიტყვებისათვის.

ამით ვათავებ ამ ჟამათ ბ. კიკაბიძის პასუხს.

დასასრულ, ბ. კიკაბიძე კიდევ გვპირდება ბორჩალოში ჩემი საქმიანობის შესახებ წერას, „თუ შემთხვევა მიეცა“. შემთხვევა უთუოდ მიეცემა, რადგან ამაზე უკეთესს რაღას იზამს უებრო პიტალოელი მწერალი?!.. და ჩვენც სიამოვნებით მოველით ახალ შემთხვევას მისი დიდი ყურების ერთხელ კიდევ მაგრათ ასაწევათ.

**რაფ. რამიშვილი.**

# რკინის გზაზე

„ერთობის“ ერთ-ერთ № ში მოთავსებული იყო ლ. კუპრაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, ვითომც ბაქანის გაკეთების საქმე სადგურ ნიგოითისა და ლანჩხუთს შუა შეჩერებულია, რადგან ადგილობრივი საზოგადოებები ვერ შეთანხმებულან, თუ რა ადგილას გაკეთებულიყო ბაქანი და რკინის გზის ადმინისტრაციაც ამ საკითხის გამორკვევას არ აჯეროვან ყურადღებას.

ვაცხადებ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ სამმართველოს აზრით, აღნიშნულ დარბენაზე არც ერთ ალაგას არ უყოფილიყო ბაქანი და უკანასკნელად ამ კითხვის გადაწყვეტა მივანდეთ საოლქო ერობას, რომელიც ჩვენ დაგვეთანხმა და მით გათავდა საქმე.

საქართ. რკინის გზის ეკსპლოატაციის უფროსი **აბელაშვილი.**

# ს.-დ. პარტიაში

რეზოლიუცია სასამართლოსი ნოე ალექსის ძე გიორგაძის პარტიიდან გარიცხვის შესახებ.

სასამართლომ, იქონია რა მსჯელობა ნოე გიორგაძის ახსნა-განმარტების შემდეგ, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: სასამართლო გაეცნო რა იმ წარმოდგენილ მასალას, რომელიც იმყოფებოდა მეორე რაიონის მცირე კოლექტივის განკარგულებაში, და მოისმინა-რა განმარტება ბრალდებულ ნოე გიორგაძის, პარტიულ სასამართლოს აჩქარებულად მიაჩნია ეს განჩინება,—რომელიც იქნა გამოტანილი 2 ივლისს რკინის გზის სამმართველოს ქვე კოლექტივის მიერ, და დადასტურებული 24 ივლისს მე-2 რაიონული კოლექტიეის მიერ—ყველა იმ საბუთების მიხედვით, რომელიც იყო მათ განკარგულებაში, გიორგაძის პარტიიდან გარიცხვის შესახებ. პარტიული სასამართლო ეთანხმება საგამომძიებლო კომისიის დასკვნებს, რომ ეს არის ნაჩქარევი და ადგენს:

1. ღებულობს-რა ყველა ზემო ნაჩვენებ საბუთებს მხედველობაში, ამხ. გიორგაძე დარჩეს პარტიაში.

2. რაც შეეხება გიორგაძის საერთო მოქმედებას, ამ შემთხვევაშიც ეთანხმება სასამართლო კომისიის დასკვნას, და სცნობს ზოგიერთ მოქმედებაში შეუსაბამო და შემცდარ ნაბიჯებს, რისთვისაც პარტიული სასამართლო აძლევს შენიშვნას, და აფრთხილებს ამხ. გიორგაძეს, რომ მომავალში თავის მოქმედებას უთანხმებდეს ორგანიზაციულ დისციპლინას.

სასამართლოს თავმჯდომარე ილ. ბადრიძე.
წევრნი: ს ქიტიაშვილი, გრ. ურუშაძე.

---

**ბათუმის** ს. დ. ორგანიზაციას განსვენებულმა ამხანაგმა კოტე ბაღათურიამ, რომელიც ამ ორგანიზაციის აქტიური მოღვაწე იყო, ანდერძათ დაუტოვა 5,000 მანეთი.

# მუშათა შორის

**თფილისი.** 3 სექტემბერს სამხედრო საგარნიზონო პურის საცხობში შესდგა ამავე პურის საცხობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კ. პეშკო, მდივნათ ს. ორაგველიძე, სხვა კითხვათა შორის, რომლებიც წესრიგში იყო, კრებამ იმსჯელა იმ წერილების შესახებ, რომლებიც თვით მუშების დაუკითხავათ და მუშების სახელით, ყალბ ცნობებზე აგებული, მოთავსებული იყო გაზ. „ერთობის“ №№ 195 და 198 ში, ბ.ბ. მუშათაგანის და მ. ისაკაძის მიერ. სადაც ვითომ გამგე მელაძე მუშების მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებდეს და მუშებს გადაეწყვიტოთ მუშაობა შეაჩერონ და სხვა. კრებამ ყოველივე ეს ცნობა უარჰყო და დაადგინა: გამოეცხადოს მათ სასტიკი გულის წყრომა გაზეთის ფურცლებზე ასეთი ჭორის მოთავსებისათვის, რომლითაც ტყუილ უბრალოთ ჩირქს სცხებს, როგორც გამგეს, აგრეთვე თვით მუშების სახელსაც და წინადადება მიეცათ, რომ შემდეგში ასეთები არ განმეორებულიყოს. აგრეთვე კრებამ დაადგინა, რომ ასეთები კიდევ შემდეგში არ მოხდეს და რედაქციაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებული არ იქნას, წერილები, რომლებიც მუშების სახელით გაგზავნილი იქნება რედაქციაში დასაბეჭდათ, შემოწმებული იქნას წინდაწინ თვით მუშების ან ადგილობრივ მუშების კომიტეტის მიერ.

კრების თავმჯდომარე კ. პეშკო.
მდივანი ს. ორაგველიძე,

---

**სადგ. ნავთლუღი.** 25 აგვისტოს დამფუძნებელ კრების წევრის პავლე წულაიას წინადადებით მოწვეული იყო საერთო კრება ნავთლუღის რაიონულ კავშირისა და კახეთის რკ. გზის ნავთლუღ. მუშა-მოსამსახურეებისა. კრება გახსნა ნავთლუღის რაიონულ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. სიო ჟღენტმა. მოხსენება გააკეთა ამხ. პ. წულაიამ მთავრობის და დამფუძნებელი კრების მუშაობაზე.

შეკითხვების და განმარტების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ნავთლუღის რაიონის და კახეთის ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეების შეერთებულმა საზოგადო კრებამ მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის ამხ. პ. წულაიასი მთავრობის გადადგმულ ნაბიჯების და დამფუძნ. კრების მუშაობის პოლიტიკაზე, კრება სრულიად იზიარებს მათ პოლიტიკას და აღუთქვამს ყოველივე დახმარებას საქართველოს მთავრობას და დამფუძნებელი კრების დაცვას და თუ საჭირო იქნება იარაღით ხელში, როგორც ერთი კაცი გამოვალთ მათ მოწოდებაზე“.

ა. ჩხენიშელი.

---

**თფილისი.** 1 სექტემბერს რკ. გზ. ვაგონპარკის სადგომში მოხდა დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. ჭავჭანიძემ გარეშე და შინაურ მდგომარეობაზე. ილაპარაკეს ავრეთვე მოწვინააღმდეგე ორატორებმაც, რომლებმაც გარკვეული პასუხი მიიღეს ამ. გ. ბახტაძის, წულაიას და ბალიაშვილისაგან. უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა; რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის ჭავჭანიძისა გარეშე და შინაური პოლიტიკის შესახებ, დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება მიესალმება დამფუძნებელ კრებას, რომელიც მუშაობს დემოკრატიის საკეთილდღეოთ, უცხადებთ მას სრულ ნდობას და ვიმედოვნებთ შემდეგშიაც ივლის ერთხელ არჩეული გზით, რომელსაც მიჰყავს დემოკრატია გამარჯვებისაკენ.

მდივანი პ. თხილავა.

# პროვინცია

**ს. გურჯაანი** (კახეთი). აგვისტოს 23 ახტალის სამხედრო სასანიტარო სამკურნალოში მყოფ გვარდიელთა და ჯარისკაცთა სარგებლოდ გამართულ იქნა წარმოდგენა სალამო კაბარე ვაუდევილით. წარმოდგენილი იყო 2 მოქმედ. კომედია ცაგარლისა „ბაიყუშო“ 1 მოქმ. ვოდევილი „დათვი“. მონაწილეობას ღებულობდნენ სცენის მოყვარენი: ქალ-ნი ელენე კარბელაშვილი ქარციგაძისა, ელენე არჩილის ასული ციხისთავი, სავიცკისა, ლაზარევისა, ბ-ნი არჩილ ციხისთავი, (სტუდიის მსახიობი), ირაკლი გ. მაღალაშვილი, ვახტ. თუხარელი, დავ. გაბრუაშვილი, სოსო ნატროშვილი და სხვა. წარმოდგენის წინ ნაჩვენები იყო ცოცხალი სურათები დაჭრილებისაგან, რის შემდეგ თვით დაჭრილებისგან შემდგარმა ხორომ იმღერა რამოდენიმე სიმღერა: „ქართული ჰიმნი“, „ქართველო ხელი ხმალს იჭკარ“, „მიყვარს ფაცხა“ და სხვა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. საღამოს განმავლობაში უკრავდა მე-6 პოლკის სამხედრო მუსიკა. ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

შემოსავალი იყო ცხრა ათას ასი (9100) მ. ხარჯი აღმოჩნდა შვიდი ათასი (7000) მანეთი. წმინდა შემოსავალი დარჩა ორი ათასზე მეტი. საღამოს მომწყობთა წრე დაჭრილების სახელით უღრმეს მადლობას უცხადებს ზემოხსენებულ წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებ პირთ. გულითადი მადლობას უძღვნით ბ ნნ ექიმ დიმ. ახვლედიანს, გ. რუსიევ-ყორჩიაშს, რომლებმაც დახმარება აღმოგვიჩინეს როგორც პირადის შრომით, ისე მატერიალურის მხრით.

დაჭრილ გვარდიელთა და ჯარისკაცთა დავალებით უღრმეს მადლობას უძღვნით ყველა აქ ჩამოთვლილ პირებს. საღამოს მომწყობთაგანი **მალ. ანთელავა.**

---

**ს. ჰოკნარი.** (საჯევახოს მხარე). 17 აგვისტოს სოფელ ჰოკნარში შემდგარ სახალხო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 500 მდე ქალი და კაცი, დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. ფილიპე გლახუნის ძე ლორიამ მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების პირველი სესიის მუშაობის შესახებ. დამსწრე საზოგადოება გულმოდგინეთ უსმენდა დეპუტატის სიტყვას. დასასრულ ტაშის კვრით და დიდის მადლობით დაჯილდოვეს. წერილობითი რეზოლიუციაში, რომელიც წაკითხულ იქნა და რომლითაც ხალხი იწონებს დამფუძნებელი კრების და მთავრობის მუშაობას და აღუთქვამს, რომ ყოველივის მზათ არიან მხარი დაუჭირონ მთავრობას ხალხისთვის სასარგებლო სახელმწიფო მოღვაწეობაში. დეპუტატს მისცეს სხვადასხვა შეკითხვები, რომლებზედაც ჯეროვანი განმარტებითი პასუხი მიიღეს.

მელქისედეკი.

# განცხადებანი

საჭიროა.

## გუჯლალტერი

ქართულის მცოდნე ადრესი: ჭელეზნი რიადი № 2, კანტორა კოჩიაშვილისა, 5—6 საათამდე. (2—1)

იჯარდება

## გუჯლალტერია

ს. ტარშაშვილისა

წერა-კითხვისა და „განათლების“ მაღაზიაში. იჯარდება ს. გლახაშვილის ნაწერების პირველი ტომი. (10—3)

# ცეკვის კურსები

მე 27-დე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე ნიკოლოზის ქ. № 101. (5—5)

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ იყიდება

## ძველი ესლი

ერთი ხომუტით. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღის სახლიო ინსტიტუტში მეეტლე ბორისი შაფეევს. (2—2)

ექიმი ლ. ა. სარალიძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

ექიმი ზ. ვ. მუხაძე.

დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის ავადმყოფის გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 ს. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ა. ი. ძუთათელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ.. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

დოქტორი ზ. გოლდშტეინი.

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი ზ. ა. ჭავჭავაძე

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები („შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღის ქუჩა № 38.

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცისკაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოფილ ვერეის ქუჩაზე, ბინა № 121, ბინა 4. ტელეფ. 71—06.

ექიმი ს. შ. ჭალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი ს. დ. ტარიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბავშვო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხვოვიჩის ბინაში. თფილისის გვერდით. ტელეფონი 14—13.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ს. ბ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ჯს სხვიებით, დიდი საელექროიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღა, მოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92

ბორჯომში

პროფ. დოქტ. მედიცინისა ვ. პ. ვოსკრესენსკი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

ექიმი ა. დ. ძიძილია

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე ჭახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი ქალი ნ. ბ. შიშლო-ბაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი ჯ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მაღათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი უფლებით და საბუმაღალტერო კურსები ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა. მიღება საანბანო განყ. 4 კლასამდე. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტ. თუმანოვის ქ. საკ. სახლი № 3.

# კინემატოგრაფი სოფლათ

**თფ. ქალ. შრომის ბირჟა** მართავს სამტრედიის რაიონის ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში საღამოებს მოძრავი სურათების ს ჩვენებით: 1) შაბათს, 6 სექტებერს სოფ. ჯიქთუბანში, 2) კვირას, 7 სექტ ს. ეწერში. 3) ორშაბათს, 8 სექტ. ს. იანეთში. 4) სამშაბათს და ოთხშაბათს 9 და 10 სექტ. სოფ. დიდ-ჯიხაიშში. 5) ხუთშაბათს, 11 სექტ.—ს. ჭაგანში, 6) პარასკევს და შაბათს, 12 და 13 სექტ. ს. კულაშში.

პროგრამა: 1) ოთხ მოქმედებიანი დრამა თავისუფლებისთვის მებრძოლის ცხოვრებიდან „რევოლიუციონერი“, 2) სურათები მეცნიერებიდან და 3) სახუმარო სურათები. სასეირნო ეზო განათებული იქნება ელექტრონით, დაუკრავს ფისგარმონია. გარდა ამისა სოფ. ჯიქთუბანში 6 სექტ. სურათების ჩვენებამდე მოხსენებას გააკეთებს პარმენ კახიანი შემდეგ თემაზე: 1) თუ რა არის შრომის ბირჟა და 2) ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, ხოლო ს. ეწერში, 7 სექტემბერს—საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მთელი შემოსავალი მოხმარდება საქველმოქმედო საზოგადოებებს. (2—2)

სახალგო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა პირველი ქართული

## გუჯლალტერიის კურსები

ორივე სქესისათვის წლოვანების განურჩევლად

## ალ. გ. საათაშვილისა

(წელიწადი მეორე). გუჯლალტერიის სწავლა, კანტორის საქმის ცოდნა და სხვა კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. წესდების გაგება და კურსებზე ჩაწერა ყოველდღე დილის 9—12 საათ. და 4—7 საათამდე. მისამართი: თფილისი, დუშეთის ქ (1-ლი უბანი, წყნეთის ქუჩის ახლოს) სახლი № 9, ტრამვ. ვაგონები № 5—9. (2—2)

წიგნის გამომცემლობა ალ. არაგიძის და ამხანაგობისა იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ შემდეგი წიგნები:

## 1) ალ. წერეთელი—მსოფლიო ისტორია

ორ ნაწილათ. სურათებით. გამოდის ორ წიგნათ. წიგნები დაშვებულია განათლების სამინისტროდან სკოლებში სახმარებლათ.

## 2) დ. უზნაძე—ძველი ისტორია მგვიპტე და სააბერძნეთი

სურათებით. ერთ წიგნათ. წიგნი მოწონებულია განათლების სამინისტროს მიერ.

## 3) სარგის კაკაბაძე. საქართველოს ისტორია

ახალი ხანა (მეთვრამეტე—მეოცე საუკ.) გიმნაზიის მერვე კლასის კურსი.

## 4) მისივე მოკლე საქართველოს ისტორია

ახალი ხანა. (მეთვრამეტე—მეოცე საუკ.) გიმნაზიის მეოთხე კლასის კურსი.

## 5) მისივე საქართველოს ისტორია. საშვალო საუკუნეები.

გიმნაზიის მეშვიდე კლასის კურსი.

## 6) მისივე მოკლე ისტორია საქართველოსი

საშვალო საუკუნეები. გიმნაზიის მესამე კლასის კურსი. წიგნები საგანგებოთ შეკვეთილი აქვს ბატონ ს. კაკაბაძეს განათლების სამინისტროს მიერ. (2—2)

ნებართვით მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გამცემის შესახვევი № 1.